



qobul eTis municipal itetis sakrebul o

g a n k a r g u l e b a #22

2013 wl is 28 Teberval i

q. qobul eTi

qobul eTis municipal itetis biuj etidan sportul i

RonisZiebebis ფარგლებში samivl inebo xarj ebis

dafinansebis wesis damtkicebis Sesaxeb

„adgil obrivi TviTmmarTvel obis Sesaxeb“saqarTvel os organul i kanonis 22-e muxl is pirvel i punqtis "Z" qvepunqtis Sesabamisad:

1. damtkicdes qobul eTis municipal itetis biuj etidan sportul i RonisZiebebis fargl ebSi samivl inebo xarj ebis dafinansebis wesiTanaxmad danarTisa.

2. kontrol i gankargul ebis Sesrul ebaze daeval os qobul eTis municipal itetis sakrebul os Tavmj domaris moadgil es (r.kakal aZe).

3. Zal adakargul ad CaiTval os qobul eTis municipal itetis sakrebul os 2011 wl is 28 ianvris #06 gankargul eba.

3. gankargul eba SeiZl eba gasaCivrdes erTi Tvis vadaSi baTumis saqal aqo sasamarTI oSi (mis: q. baTumi, zupal aSvil is q.#-30).

4. gankargul eba Zal aSia xel mowerisTanave.

sakrebul os Tavmj domare

e. bagrationi

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტული ღონისძიებების ფარგლებში
სამივლინებო ხარჯების დაფინანსების წესი**

1. საქართველოს ფარგლებში, შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების დღე-ღამეში ხარჯი (კვების) განისაზღვრება შესაბამისი სპორტული ორგანიზაციებისა და/ან ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ წინასწარ დადგენილი ნორმების და/ან დამტკიცებული დებულების საფუძველზე.

2. ამ წესის პირველი პუნქტით განსაზღვრული ნორმების წინასწარ დაუდგენლობის შემთხვევაში საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების სადღეღამისო (კვების) ხარჯი განისაზღვრება „დაქირავებულთათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის # 220 ბრძანებით.

3. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების მგზავრობის ხარჯები განისაზღვრება შესაბამის მიმართულებაზე არსებული მგზავრობის ღირებულების გათვალისწინებით და ფაქტობრივად გასაწევი ხარჯების მიხედვით.

4. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების კვების ხარჯი განისაზღვრება შეჯიბრებისა და შეკრების დებულების და/ან შესაბამისი ორგანიზაციების მიერ კვების მომსახურეობის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

5. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების სასტუმროს ხარჯი განისაზღვრება შესაბამის დაწესებულებებში არსებული მომსახურების ღირებულების გათვალისწინებით და ფაქტობრივად გასაწევი ხარჯების მიხედვით ან მომსახურეობის თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

6. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ ორგანიზებულ შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე სამედიცინო და ტექნიკური პერსონალის, მოწვეული მსაჯების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება შეჯიბრების დებულების, შეკრების წესისა და/ან სპორტული ღონისძიების ორგანიზატორის მიერ ამ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

7. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების ხარჯები (მგზავრობის, სასტუმროს, კვების, შეჯიბრებაში მონაწილეობისათვის სასტარტო შენატანი) განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტის ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი სპორტის სახეობის მწვრთნელის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, რომელიც შეთანხმებული უნდა იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამის სამსახურთან.

8. საქართველოს ფარგლებში შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრების ხარჯები განისაზღვროს:

ა) საქართველოს პირველობებზე, ჩემპიონატებზე, თასების გათამაშებაზე;

ერთ სპორტსმენზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ბ) აჭარის ა/რ ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე ჩასატარებელ შეჯიბრებებზე, მუნიციპალურ,

საქალაქო და რეგიონალურ ღონისძიებებზე:

ერთ სპორტსმენზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ ტექნიკურ პერსონალზე - დღიური თანხა 10 ლარი;

სამედიცინო პერსონალზე - დღიური თანხა 10 ლარი;

გ) სასწავლო-საწვრთნო შეკრებაზე;

ერთ სპორტსმენზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მწვრთნელზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

ერთ მსაჯზე - დღიური (კვების) თანხა 15 ლარი;

9. შეჯიბრებებზე და საწვრთნელ შეკრებებზე ქობულეთის მუნიციპალიტეტის სპორტული გუნდების წევრებისათვის სპორტული ორგანიზაციებისა და/ან ღონისძიების ორგანიზატორთა მიერ წინასწარ დადგენილი ნორმების და დღიური ხარჯის ჩარიცხვა ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტული ღონისძიებების ფინანსური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი სპორტის სახეობის მწვრთნელის ანგარიშზე.

10. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანიზებით შეჯიბრებებისა და საწვრთნელი შეკრებების დრო, ადგილი, მიზანი და ხანგრძლივობა განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის შესაბამისი სამსახურის მიერ შემუშავებული დებულებით და მტკიცდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მიერ.

11. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ორგანიზებით შეჯიბრებებისა და საწვრთნელი შეკრებების დებულებები ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს შესათანხმებლად და დასამტკიცებლად წარედგინება შემდეგი სახით:

ა) შეჯიბრების დებულება - ღონისძიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე;

ბ) საწვრთნელი შეკრების- ღონისძიების დაწყებამდე არანაკლებ 10 დღით ადრე;

